ხაშურის მოამბე

№5 (476) 17 თებერვალი, ორშაბათი, 2025 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ მიმდინარეობს

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მაკა დიდებულიძე, ალის თემის მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობდნენ.

პროექტის მიხედვით, ადგილობრივების მიერ, დასახელებული პროექტებია: ზემო აძვისში-ბეტონის გზის მოწყობა, სანიაღვრე არხები; ნაბახტევში-სასაფლაომდე მისასვლელი გზის დასრულება; კლდისწყაროში და უწლევში-სანიაღვრეების მოწყობა, ბრილში-ბეტონის გზის მშენებლობა.

მოქალაქეთა გადაწყვეტილებით შერჩეული პროექტები, დასამტკიცებლად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება.

მომდევნო დღეს შეხვედრები შედგა გომის, აგარების, დიდი და პატარა სატივეს, ხიდისყურის, ვაყას და ქვემო აძვისის მოსახლეობასთან.

მოქალაქეებმა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა ერთობლივად იმსჯელეს პრიორიტეტულ პრობლემებზე და დასახეს მათი გადაჭრის გზები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამართულ კრებებზე მოსახლეობამ შემდეგი პრიორიტეტები გამოკვეთა: გომში სანიაღვრე არხის გაწმენდა გადაწყდა, აგარებში სტადიონი მოეწყობა, დიდ სატივეში მოსახლეობამ ხიდის რეაბილიტაციას დაუჭირა მხარი, პატარა სატივეში ადგილობრივებმა პრიორიტეტი გარე განათების მოწყობას მიანიჭეს, ხიდისყურში საწრეტი არხის გაწმენდა დაიგეგმა, ვაყაში მოსახლეობამ სასაფლაოს შემოღობვა და თავშეყრის ადგილის მოწყობა აირჩია, ქვემო აძვისში კი საბავშვო სკვერის მოწყობა გადაწყდა.

11 თებერვალს გაგრძელდა შეხვედრები და მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ოსიაურის, ახალსოფლის, ნარუჯებისა და ღუდას მოსახლეობას შეხვდნენ.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, ადგილობრივების მიერ, დასახელებული პროექტებია: ზემო ოსიაურში - სკვერისა და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა. ქვემო ოსიაურში - ჩოგბურთის კორტები. ახალსოფელში - არსებული სკვერის შემოღობვა და წყარომდე მისასვლელი საფეხმავლო ხიდის მოწყობა. ნარუჯებში - გარე განათება, ხოლო ღუდაში - გზების მოხრეშვა.

„პროგრამის განსახორციელებლად, მთავრობის განკარგულებით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალიტეტს 904 000 ლარი გამოეყო.

„განრიგი შედგენილია, მუნიციპალიტეტის 77 სოფელშივე მივალთ და მოსახლეობას შევხვდებით, რათა ადგილობრივებმა თავად შეარჩიონ პრიორიტეტული პროექტები, რომლებიც ამ თანხით, თავიანთ სოფლებში განხორციელდება. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ გარდა სოფლის მხარდაჭერის პროექტით განსახორციელებელი პროექტებისა, ვეცნობით ადგილობრივების საჭიროებებს და შესაძლებლობის ფარგლებში, ვცდილობთ, პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებას,“ - განაცხადეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები 21 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება.

ხაშურს მულტისპორტული კომპლექსის უნიკალური შენობა შეემატება

ბოლო პერიოდში, ხაშურში, ინვესტიციების ისეთი მზარდი ნაკადის შემოდინება მიმდინარეობს, რომლის მსგავსი, უკანასკნელ ათწლეულებში, პრაქტიკულად, არ ყოფილა. ხაშურის წყალმომარაგება, ჰესების კასკადი მდინარე მტკვარზე, ორი სარაგბო სტადიონი-აი, ამ უმსხვილეს პროექტებს კიდევ ერთი შეემატება-მულტისპორტული კომპლექსი, რომლის მშენებლობაზე,

დაახლოებით, 5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

ეს უნიკალური ნაგებობა ქალაქის ცენტრში, ცენტრალური პარკის (ე.წ. სასეირნო პარკი) მიმდებარედ აიგება. სამსართულიანი შენობის პირველი სართული საცურაო აუზს (25მ.), რეკრეაციულ სივრცეს, მშრალ და ორთქლის საუნას, ჯაკუზს, სპორტკაფეს დაეთმობა: მეორე სართული მთლიანად გამოყოფილი იქნება ფიტნეს-კლუბისთვის, სადაც სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოღვაწე სპორტსმენები და ჯანსაღი ცხოვრების მოყვარულები შეძლებენ ვარჯიშს და განტვირთვას, მესამე სართული კი ტენისის და ბოულინგ-ცენტრისთვის იქნება განკუთვნილი.

კომპლექსს შესაძლებლობა ექნება ერთდროულად სამასზე მეტ ადამიანს მოემსახუროს. მნიშვნელოვანია, რომ ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ქალაქის მოსახლეობას ტრანსპორტირების პრობლემა, ფაქტობრივად, არ იქნება. სპორტკაფეში განთავსდება მონიტორები და ჯანსაღ კვებასთან ერთად, მომხმარებელს საშუალება ექნება სპორტულ ღონისძიებებს მიადევნონ თვალი კომფორტულ გარემოში. თანამედროვე საცურაო აუზი (ოლიმპიური ზომების) კი სრულიად ახალი სიტყვაა ჩვენი ქალაქისთვის და, ვფიქრობთ, მისი ამოქმედება ყველას გაახარებს. აღსანიშნავია, რომ ამ სივრცეში პატარებისთვისაცაა გამოყოფილი ადგილი და ვიდრე ისინი სრულფასოვან ცურვას შეისწავლიან, მათთვის მცირე ზომის ე.წ. „საჭყუმპალაო“ აუზი მოეწყობა.

და კიდევ ერთი: კომპლექსში 30 ადამიანზე მეტი დასაქმდება, რაც მუნიციპალიტეტის ეკონომიკისთვისაც მნიშვნელოვანი ფაქტორია. ასე, რომ ახალი მულტისპორტული კომპლექსი და მისი ულამაზესი შენობა იქნება მართლაც დიდი შენაძენი სრულად ქალაქის თუ აქ მცხოვრები თითოეული მოქალაქისთვის.



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 3
2025 წლის 06 თებერვალი, ხაშური

ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკისათვის (ს.ნ. 217889300) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ 69.08.58.260.01.500) 229.44 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადაცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი“-ს (ს.ნ 217889300) 20.12.2024წ. №1083 და 22.01.2025წ. №19 წერილები, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკ“-ს (ს.ნ 217889300) შორის გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების განახლების შესახებ. ცენტრი ემსახურება ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ განვითარების შეფერხების დიაგნოზის მქონე, შშმ სტატუსის და სხვადასხვა დიაგნოზების მქონე ბავშვებს. ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი“-ს მიზანია ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრის ფუნქციონირება, რომელიც უზრუნველყოფს განვითარების პრობლემების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩართულობის ხელშეწყობას, განვითარებას, განათლებას და მათი ოჯახების მხარდაჭერას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკ“-ს (ს.ნ 217889300) შორის 16.02.2023წ. გაფორმებულ უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებას მ/წ 16 თებერვალს ეწურება მოქმედების ვადა. იმის გამო, რომ არ შეფერხდეს ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკი“-ს ბენეფიციარებისათვის მომსახურების უწყვეტად მიწოდება და ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამების მიმდინარეობა, რაც შეაფერხებს ცენტრის გამართულ ფუნქციონირებას, ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკმა“ (ს.ნ 217889300) 22.01.2025წ. №19 წერილით მიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას თხოვნით, 2025 წლის 16 თებერვლიდან მოქმედი ხელშეკრულების დამთავრებისთანავე დაიდოს ახალი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება, რითაც ცენტრს მიეცემა შესაძლებლობა უწყვეტად განახორციელოს თავისი საქმიანობა. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია გაფორმდეს ახალი ხელშეკრულება ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკთან“ (ს.ნ217889300), ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშურში, თამარ მეფის ქუჩა №1-ში მდებარე უძრავი ქონების I სართულზე არსებული 229,44 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადაცემის თაობაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის დ.დ ქვეპუნქტის თანახმად აღნიშნული საჭიროებს საკრებულოს თანხმობას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5, მე-6 პუნქტების და „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 109-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს, 2025 წლის 16 თებერვლიდან ა(ა)იპ „საზოგადოება ბილიკს“ (ს.ნ 217889300) გადასცეს ხაშურში, თამარ მეფის ქუჩა №1- ში მდებარე უძრავი ქონების (ს.კ 69.08.58.260.01.500) I სართულზე არსებული 229.44 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით.

განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

ნინო ლიპარტელიანი, საკრებულოს თავმჯდომარე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 5
2025 წლის 06 თებერვალი, ხაშური

პროექტი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად მერის უფლებამოსილებას წარმოადგენს საკრებულოსათვის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დასამტკიცებლად წარდგენა. ვინაიდან, ხაშურის მუნიციპალიტეტს დაგეგმილი არ აქვს რამდენიმე უძრავ-მოძრავი ქონების რაიმე მიზნით გამოყენება, ხოლო ბიზნესის განვითარების, სამუშაო ადგილების შექმნისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური რესურსის მობილიზების მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24 -ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებოსაფასურის,ქირისსაფასურის,ქირისსაწყისისაფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორბის წესების დამტკიცების შესახებ“ №669 დადგენილების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა დანართი № 1-ის შესაბამისად (დანართი თან ერთვის ერთ ფურცლად).

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 2 მაისის №26 განკარგულება.

განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge ;

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, მ.კოსტავას ქ. №15);

ნინო ლიპარტელიანი, საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი №1

ხაშურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

ხაშური, ბექაურის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.65.016) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 2038.00 მ2;

ხაშური, თევდორე მღვდლის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.57.023) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 7872.00 მ2.

ხაშური, ბექაურის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.65.014) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 13781.00 მ2;

ხაშური, სოფელი გომი, (საკადასტრო კოდი 69.02.68.000.014) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 5281 კვ.მ2;

ხაშური, ქუჩა იმერეთი (ყოფილი სამხედრო ტერიტორია), (საკადასტრო კოდი 69.08.60.952) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 10767.00 მ2;

ხაშური, სოფელი ოსიაური, შენობა-ნაგებობა და მასზედ მიმაგრებული მიწის ნაკვეთი, (საკადასტრო კოდი 69.03.55.294) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 168.00 მ2;

ხაშური, სოფელი გომი, შენობა-ნაგებობა და მასზედ მიმაგრებული მიწის ნაკვეთი, (საკადასტრო კოდი 69.02.65.000.343) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 111.00 მ2;

ხაშურის, სოფელი ცხრამუხა, შენობა-ნაგებობა და მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთი, (საკადასტრო კოდი 69.11.56.291) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 140.00 მ2 ;

ქ. ხაშური, გორგასალის ქუჩა (საკადასტრო კოდი 69.08.68.227) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, მიწის ნაკვეთი ფართობი 1053.00 მ2 და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;

ქალაქი ხაშური, ტაბიძის ქუჩა (საკადასტრო კოდი 69.08.59.781) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, მიწის ნაკვეთი 1572.00 მ2;

ქ. ხაშური, იმერეთის ქუჩა (ყოფილი სამხედრო ტერიტორია) (საკადასტრო კოდი 69.08.60.943) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, მიწის ნაკვეთი 684.00 მ2;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება VAZ 21214 სახელმწიფო ნომრით SS-386-HH;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება OPEL OMEGA 2.0 სახელმწიფო ნომრით IIC 119;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება VAZ 2107 სახელმწიფო ნომრით GQG626;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება TOYOTA COROLLA სახელმწიფო ნომრით FF741HH;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება TOYOTA COROLLA სახელმწიფო ნომრით MDM 554;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება MERSEDES-BENZ 220 D სახელმწიფო ნომრით OAD 777.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 7
2025 წლის 06 თებერვალი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში, ზემო-სერის ტყე-პარკთან მისასვლელი გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოების შესყიდვისა და შესაბამისი გარიგების დადების თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარების, რეკრეაციული ზონის გაფართოებისა და მოსახლეობისათვის კულტურულ-სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ იგეგმება ზემო-სერის ტყე-პარკთან მისასვლელი გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, რომლის საპროექტო ღირებულებაა 1 892 530.68 ლარი (თანადაფინანსებით, 95 % სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები; 5 % ადგილობრივი თვითმართველობის ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით), ორ ეტაპად: პირველი ეტაპი - 2025 წელი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოებიდან არაუმეტეს 1 000 000.00 ლარის მოცულობის სამშენებლო სამუშაოები, ხოლო მეორე ეტაპი - 2026 წელი დანარჩენი თანხის ფარგლებში). ვინაიდან, აღნიშნული თანხა აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტს, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჭიროებს საკრებულოს თანხმობას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე და ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადგენს:

მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს ხაშურის მუნიციპალიტეტში, ზემო-სერის ტყე-პარკთან მისასვლელი გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოების შესყიდვა საერთო ღირებულებით 1 892 530.68 (ერთი მილიონ რვაასოთხმოცდათორმეტი ათას ხუთასოცდაათი ლარი და 68 თეთრი) ლარი, რომელიც აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს;

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

განკარგულებააღსასრულებლადგაეგზავნოსხაშურისმუნიციპალიტეტის მერიას;

განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge;

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, სარჩელის წარდგენის გზით, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

ნინო ლიპარტელიანი, საკრებულოს თავმჯდომარე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 8
2025 წლის 06 თებერვალი ,ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, 35-ე მუხლის, 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმა. ;

განკარგულებაა აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge;

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, სარჩელის წარდგენის გზით, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. N15).

ნინო ლიპარტელიანი, საკრებულოს თავმჯდომარე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება N 18
2025 წლის 06 თებერვალი, ხაშური

სახელმწიფო და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დადგინდეს ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

მუხლი 2. დამტკიცდეს ქ. ხაშურის ტერიტორიის ზონირება დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობა.

მუხლი 4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 1 თებერვლის №3 დადგენილება „სახელმწიფო და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის, ზონირების და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ (www.matsne.gov.ge 02.02.2024. სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.143.016694).

მუხლი 5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნინო ლიპარტელიანი, საკრებულოს თავმჯდომარე

რედაქციისგან: #7 და #8 განკარგულებებისა და #18 დადგენილების დანართები შეგიძლიათ იხილოთ საკრებულოს ვებგვერდზე.

ტრენინგი თემაზე „ბავშვთა მიმართ ძალადობა და რეფერირების პროცედურები“

ამ რამდენიმე დღის წინ, სოციალურ ქსელში გავრცელდა აღმაშფოთებელი ვიდეოკადრები, სადაც საბავშვო ბაღის აღმზრდელი სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს პატარა აღსაზრდელს, ძალადობს მასზე, უყვირის და უხეშად ექცევა. წარმოდგენაც არ მინდა, რას გრძნობდა პაწაწუნა არსება იმ წუთებში

ამ ფაქტს ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება და საგანმანათლებლო პერსონალი ვაპროტესტებთ და კიდევ ერთხელ ვფიქრდებით ბავშვთა უფლებების კონვენციაზე, მათთან პოზიტიური ურთიერთობის ფორმებზე, რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირებს შევახსენებთ მათ მოვალეობებს და პროცედურებს ,ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტების შემთხვევაში.

სწორედ ამიტომ გაიმართა ტრენინგი თემაზე “ ბავშვთა მიმართ ძალადობა და რეფერირების პროცედურები”.

ვიმედოვნებ, რომ მგავსი ძალადობის შემთხვევები არ გვექნება ჩვენს ბაღებში, იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ მსგავსი გადაცდომები არ ყოფილა ბოლო რამდენიმე წელია.

იმედია, ეს ტრენინგი და ერთობლივი შეხვედრა მეტად დაგვაფიქრებს ჩვენს მოვალეობებზე, პასუხისმგებლობებზე ,პატარებთან ურთიერთობის ჯანსაღ ფორმებზე, ძალადობის რისკებზე და დამცავ ფაქტორებზე.

P.S. აქვე დავამატებ და მოვუწოდებ მშობლებს, საგანმანათლებლო პერსონალს და ყველას, ვინც ამ პროცესებშია ჩართული, არ დამალოთ და გვერდი არ აუაროთ ძალადობის ნებისმიერ ფორმას.

ლელა გელაშვილი,

საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველი

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ხმ“ 2025წ, #1,2,3,4).

კოდეები - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,კოდია იყო კაცი და იმას ეჭირა”. კოდეების წყალი - ადგ; წყარო ჩრდილოეთის მხარეს კოდეებში. ,,ზინას კაკლების დაბლა ამოდის კოდეების წყარო, რომელსაც ზინას წყაროსაც უძახიან“.

კონტიკის წყარო - ადგ; წყარო. ,,კოტილაურის მთის ძირში, კლდეში გამოდის“.

კოტილაური - ადგ; მთა. ,,დიდი სერის ოდნავ ჩრდილოეთით მდებარეობს“.

კოშკის უბანი - ადგილი; უბანი სოფლის აღმოსვლეთის ნაწილში. იგივეა, რაც კოშკის ტეზერი.

კოშკის ტეზერი - ადგილი; უბანი. იგივეა, რაც კოშკის უბანი.

კოშკის წყარო - ადგ; წყარო. ,,დანგრეული მრგვალი კოშკის ძირში ამოდის წყარო. მას ციხის წყაროსაც ეძახიან“.

კუნლის წყარო - ადგ; წყარო. ,,ნატბების ტბა, რომელიც ახლა დამშრალია, ჩრდილოეთის მხრიდან კუნლის ბუჩქის ძირიდან ამომავალი წყაროს წყლით ივსებოდა“.

მანჩხაურა - ადგ., სახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,მანჩხაშვილების უბნის დაბლა, ფერდობზე მდებარეობს სახნავი მიწა, რომელსაც მანჩხაურის მიწები, ანუ მანჩხაურა ეწოდება. საბჭოთა ხელისუფლების დროს აქ გააშენეს ტყემლის ბაღი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამოსახლოებად დაარიგეს, ამჟამად ტყემლები გაჩეხილია, სახლები კი ჯერ-ჯერობით არავის აუშენებია. მანჩხაურას საბჭოთა ხელისუფლების დროს ტყემლებსაც ეძახდნენ“.

დაფიქსირებულია 1725 წლის 1 ნოემბრით დათარიღებულ გიორგი ორჯონიკიძის მიერ მამუკა ორონიკიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნში: ,,... ნასყიდობის წიგნი და პირი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ორჯონიკიძემ გიორგიმან და რამადამან, ლეკვიამა და კიკოლამა თქვენ, ორჯონიკიძეს მამუკასა და შვილსა შენსა ქაიხოსროსა, ბეჟანსა, პაპუასა და მომავალსა სახლისა თქვენისასა. ასე რომე დამეჭირა და მოგყიდე ჩვენი სამკვიდრო მაჩხ[ა]ურისა ბოლო მიწა ჩემი წილი რაც მქონდა. თავსა ჩემი ვენახის მიდგმამდი, ბოლოს აბრამაშვილის მიდგმამდი, გვერძე თეგაძის მიწის მიდგმამდი, ქვეით შენის მიწის მიდგმამდი“.

მანჩხაურას სასაფლაო - ადგ; სასაფლაო, აქ მდებარეობს წმინდა გიორგის ეკლესია. ,,კოშკის ტეზრის მცხოვრებლების ერთი ნაწილი ადრე მიცვალებულებს ხახუტის ტეზრის სასაფლაოზე კრძალავდნენ. ალბათ, ყაჩაღი ლეკის სიახლოვეს დამარხვას ერიდებოდნენ. შემდგომში ბევრმა თავიანთი მიცვალებულები მანჩხაურას სასაფლაოზე გადმოასვენა“.

მანჩხაშვილების უბანი - ადგ; უბანი. ,,კოშკის ტეზრის ერთ-ერთი უბანია“.

მარიამის ახო - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,მარიამ ორჯონიკიძეს ეკუთვნოდა”. ,,წყლისთავის მაღლა და სვანის ახოს დაბლა მარიამ ორჯონიკიძის მოდომებით ტყე-ბუჩქნარი გაიჩეხა და მიწას სახნავ-სათესად იყენებდა. ახლა იქ ფიჭვნარია გაშენებული“(კ. ხარატიშვილი).

მარიკის წყალი - წყარო ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

მახარას ნასახლარი - ადგილი; იხ. ღოჯის ქედი.

მგრგვალა//მგვალა - ადგილი; აქ 1737 წლის 21 მაისს შემაზა ღამბაშიძემ ქაიხოსრო ორონიკიძეს მიჰყიდა მიწა: ,,...ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ღამბაშიძე შემაზამ, ძმამან ჩემმან შიომ, კაციამ, ბიძინამ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთავე თქვენ, ორჯონიკიძე ბოქაულთხუცეს ქაიხოსროს, ძმასა თქვენსა ბეჟანს და პაპუასა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე. მას ჟამსა ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი ალალი მგრგვალაში ერთი ღის მიწა. საზენაქროთ დევიძის მიწის მიდგმამდი, საქვენაქროთ გიგია ღამბაშიძის მიწის მიდგმამდი, ერთი გვერდი შენსავ მიწამდი და ერთი გვერდი გიგია ღამბაშიძის მიწის მიდგმამდი“.

მილის წყაროს ფშანი - ადგილი; XIX ს-ის დასაწყისით დათარიღებულ ბესარიონ ხუცესის წერილში ევგენი აბაშიძისადმი, ნათქვამია, რომ ,,მილის წყაროს ფშანე ისიც ნაყიდია ჩვენი“ .

მრგვალი გორა - ადგ., გორაკი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, გორა-ნამოსახლარი, არქეოლოგიური ძეგლი. თარიღდება გვიანდელი ბრინჯაოს ხანით(იხ. სიკძა, ტ.5, თბ.1990, გვ.448). ,,გორა კოშკის ტეზრის დასავლეთით, ტეზრის ღელიდან დაახლოებით 30-40 მეტრის დაშორებით მდებარეობს. არსებობს თქმულება, რომ გორა თამარ მეფის ლაშქრის ფეხის ტალახნაფხეკისაგან შეიქმნა“.

მურყნები - ადგილი; ,,კლდიანის სამხრეთით დაბლა ფერდობზე მურყნების ტყე არსებობდა, რომელიც გაიჩეხა, აღარ არსებობს. ადგილს ხალხი მაინც მურყნებს ეძახის“.

მუხების ტყე - ადგილი; ,,მანჩხაშილების უბანშია. აღმოსავლეთით, ბეკმის ღელის მარჯვენა ნაპირზე. მუხები გახმა და გაჩეხეს“.

მუხნარი - ადგილი; ,,ნატბებსა და ჭენჭყობს შორის არსებობდა. მწერები და მატლრები შეესია, მუხები გახმა და გაჩეხეს“.

მშრალი ღელე - ადგ; ღელე. ,,გვიმრიანის გასწვრივ მოედინება. გაზაფხულის წყალდიდობების ან დიდწვიმობის დროს ჩანს რომ აქ ღელეა“.

ნადიკვარი - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. მომდინარეობს ,,დიკა“-დან, რაც ს.ს. ორბელიანის მიხედვით ,,გაზაფხულ ნათესი ხვარბალი“-ა.

ნავენახრები - ადგილი სოფლის ცენტრში. იგივეა, რაც გულიწოს ვენახი

ნანიტას ნასახლარი - ადგილი; იხ. ღოჯის ქედი.

ნატბები - ადგ., საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ადრე მუხნარი იყო, ახლა ბუჩქნარია”. ,,პატარა სერისკენ მიმავალ გზაზე, ჭენჭყობის დასავლეთით, წყლისთავის დასავლეთით მდებარეობს. გადმოცემით საკმაოდ ღრმა წყალსაცავს წარმოადგენდა, სადაც თევზებიც ბლომად ბინადრობდნენ. თევზის დაჭერის მიზნით ღრმად ჩაჭრილი თხრილით ტბა წყლისგან დაცალეს. ამჟამად დამშრალია. საინტერესო ის არის, რომ ადგილს ნატბები ტბის დაშრობამდეც ერქვა, სხვა ტბა კი იქ ახლომახლო არასოდეს ყოფილა“.

ნაფარეხალი - ადგილი; ,,მრგვალი გორას სამხრეთ-დასავლეთით, მოგრძო ზეგანის ძირში, რუსაანთუბნის ღელის მარცხენა ნაპირზე საბჭოთა ხელისუფლების დროს აგებული იყო ფარეხი - ცხვრების სადგომი. ფარეხი კარგა ხანია დანგრეულია, მაგრამ სიტყვა ,,ნაფარეხალი“ მაინც შემორჩა“.

ნაფუძარი - ადგილი; იხ. ჭინჭარაული.

ნაძვები - ადგილი; ,,ფშოტიკრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. ბუჩქნარის შთაბეჭდილებას ტოვებს, ძირითადად ფოთლოვანი ხეები ხარობს. ჩემს ბავშვობაში იქ წიწვოვანი ხე არ მინახავს. ხალხი რატომ ეძახის ნაძვებს გაუგებარია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ოდესღაც ამ მიდამოებში მართლაც ხარობდა ნაძვი“.

ნახვეტარი - ადგ; სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,ცნობილია, რომ ბორჯომის ხეობიდან გამოსული მდინარე მტკვარი ტაშისკარ-ქვიშხეთთან მკვეთრად უხვევს მარჯვნივ და წყალდიდობის დროს, განსაკუთრებით გაზაფხულზე, ხეობიდან წამოღებულ ნაგავს, ქვა-ღორღს ამ მიწაზე ახვეტს. ამიტომ ამ ადგილს ნახვეტარი დაერქვა. ნახვეტრის მიწები სავანისუბანსა და ყიფიანთუბნის მხარესაც არის“(კ. ხარატიშვილი). 1852 წლის 1 დეკემბერს ზაალ ორჯონიკიძე აქ მიწას აძლევს სვიმონა სუთიაშვილს: ,,...ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით მე, ქვემორე ამისა მომწერელმა გორის უეზდისა სურამისა უჩასტკისა სოფელსა ტეზერში მცხოვრებელმა კეთილშობილმა ზაალ რევაზის ძე ორჯონიკიძემა და მემკვიდრემა ჩემა რევაზმა, კონსტანტილემა, ივანემა და სვიმონმა და მომავალმა ოჯახისა ჩემისამა თქვენ, ამავე უჩასტკისა სოფელსა ქვიშხეთში მცხოვრებელსა, საბატონო ყმასა სვიმონა სუთიაშვილსა და ძმებსა შენსა გიორგისა, სოსიასა და გაბრიელასა და მამავალსა სახლისა თქვენისასა. მაჟამს ოდენს დამეჭირა და მოგყიდეთ ჩემი ალალი სამკვიდრო ნახვეტარში ორი დღენახევრისა სახნავი მიწა სამძღვრებითა: აღმოსავლეთით ისევ თქვენი მიწის მიდგმამდინ, დასავლეთით ქაიხოსრო ავალიშვილის მიწის მიდგმამდინ, სამხრეთით ნინიკა გიგიტაშვილის მიწის მიდგმამდინ, ჩრდილოეთით ზურაბ ორჯონიკიძის მიწის მიდგმამდინ“.

ნესტორის ეკლები - ადგილი ზედა უბანში. ,,ნესტორ ორჯონიკიძეს ბაღი ეკლებით ჰქონდა შემოზღუდული”. ,,ნესტორ ორჯონიკიძის ბაღს ღელის პირას ეკლებით შემოვლებული ცოცხალი ღობე ჰქონდა“.

ნუშები - ადგილი; ,,მრგვალი გორის ჩრდილოეთით და სამხრეთით გაწოლილია ზეგნები, რომელთა შორის ამოზიდულია წაჭრილი კონუსის მსგავსი მრგვალი გორა. მათი შეერთების ადგილი ჩაღრმავებულია. სამხრეთის ზეგნის დამრეცი ფერდობის ძირში, რუსაანთუბნის ღელის მარცხენა ნაპირზე კოლმეურნეობის მიერ ნუშის ბაღი იყო გაშენებული.

ორაშვილების უბანი - ადგ; უბანი. ,,კოშკის ტეზერში ხუთკომლიანი პატარა უბანია“.

ორჯონიკიძეების უბანი - ადგ; უბანი.

პანტნარი - ადგილი; ,,დიდი სერის ჩრდილო-დასავლეთით მიმავალ თავდაღმართ გზაზე მდებარეობს. ბევრი პანტა ხარობს, მაგრამ თამელი და ტყის სხვა ხილიც ბევრია. დღესაც და ადრეც, ტეზრელები უფრო ხშირად აქედან ეზიდებოდნენ პანტას“.

პანტნარის წყარო - ადგ; წყარო. ,,დიდი რცხილის ხის ძირში გამოდის, ამიტომ ზოგჯერ რცხილის წყაროსაც ეძახიან“.

პატარა სერი - ადგ., სერი ჩრდილოეთის მხარეს. რცხილის წყარო - ადგ; იხ. პანტნარის წყარო.

საბადური - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს.

საშალდე - ადგილი; ,,ფშანში ადრე დაჭაობებული მიწა ბევრგან იყო. ერთ-ერთ ასეთ პატარა ნაკვეთს ეწოდებოდა“.

საჩინოს ახო - ადგილი; ,,დიდი სერიდან დაბლა, წიფისკენ ჩამავალ გზაზე მდებარეობს. ვინ იყო საჩინო უცნობია“(კ. ხარატიშვილი).

საჩხრიალა - ადგილი; ,,კლდიანის წყარო ტყეში ერთგან კლდეზე ჩხრიალით გადმოდის, ჩანჩქერივით ,,გადმოჰქუხს“ .

საწრეტი არხი - ადგილი; ,,ტეზრის სამხრეთით, ადგილს ხალხი ფშანს რომ ეძახის, ბევრგან დაჭაობებული ადგილი იყო. საბჭოთა ხელისუფლების დროს ჭაობების ამოსაშრობად საწრეტი არხები გაიყვანეს, რამაც კოლმეურნეობას მეტად ნაყოფიერი და უხვმოსავლიანი მიწები შემატა. საწრეტი არხები მდინარე შოლას უერთდება“.

საჯვარის გზა - ადგილი; ნატბების მინდვრების ხელმარცხნივ ვიწრო საცალფეხო ბილიკი მაღლა-მაღლა ადის. უმაღლეს წერტილს რომ მიაღწევს, იქიდან სამხრეთისაკენ ეშვება. უმაღლეს წერტილში მას აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გამავალი ბილიკი კვეთს. ამ გზას საჯვარის გზა ეწოდება. დღეს იქ გავლა ჭირს“.

სვანი - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ხე იჭრებოდა და აცურებდნენ”.

სვანის ახო - ადგილი; ,,კლდიანზე ასასვლელი გზის დასაწყისში ტყეში შეჭრილი ახოა, ციცაბო ფერდობია“.

ტალახაური - ადგ., სახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ერთი გვარი იყო ტალახაძე”. ,,სოფელში ცხოვრობდა ვინმე ტალახაძე. ფლობდა სახნავ მიწას. გააშენა ვენახი. მაგრამ მუდამ შეშის უკმარისობას განიცდიდა, ცეცხლს სიმინდის ნაცეტრებით ანთებდა, რის გამოც, განსაკუთრებით ზამთარში, სახლში სითბოს ვერ იკავებდა. ის შეწუხდა. გადაწყვიტა, ისეთ ადგილას წასულიყო, სადაც შეშა (ტყე) ახლო ექნებოდა. ასეც მოიქცა, გაყიდა ყველაფერი და ხარაგაულის რაიონის სოფელ ბეჟთაუბანში გადასახლდა. შთამომავლებს დღესაც გული წყდებათ, რომ მათმა წინაპარმა ნაყოფიერი მიწები გაყიდა და ხრიოკ სოფელში დასახლდა“ .

ტალახაურის წყარო - ადგ; წყარო აღმოსავლეთის მხარეს. ,,მანჩხაშვილი იყო, ტყე გაჩეხა”. ,,სახელი მიუთითებს, რომ წყარო ტალახაძის მოწყობილი, გაკეთებული უნდა ყოფილიყო. არსებობს მეორე ვერსიაც: წყაროსთან მისასვლელი ბილიკი ხშირად ტალახიანი იყო და ამიტომ დაერქვა ტალახაური. არსებობს გადმოცემა: ბუხრის პირას მჯდომ ტალახაძეს ბუხარში დანთებული ცეცხლის სიმხურვალით კანჭები ეწვოდა, უკან დახევა კი ეზარებოდა, რის გამოც ტკივილის შესამსუბუქებლად კანჭებზე ტალახს იგლისავდა. აქედან წარმოსდგა გვარი ტალახაძეო“.

ტატოს ახო - ადგილი; ,,ნატბების აღმოსავლეთით ტატო მანჩხაშვილმა ტყე გაჩეხა და სახნავად გამოიყენა“.

ტეზრის ზვარი - ადგილი. 1711 წელს სხვა მამულებთან ერთად აძლევს ვახუშტი აბაშიძეს .

ტეზრის ღელე - ადგ; ღელე. იგივე გოგიას ღელე. ტეზრის წყარო - ადგ; წყარო. ,,კოშკის ტეზერში ხარატიშვილებისა და წეველიძეების უბნების სიახლოვეს დგას მოსახლეობისათვის და საქონლის დასარწყულებლად დიდგეჯიანი წყარო. ასეთივე წყარო დგას მანჩხაშვილების უბანშიც. წყარო გაიყვანეს ჯერ კიდევ 1936 წელს, რომლის წყლის მილები ღევანდლამდე გამტარუნარიანია“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

13 თებერვალს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა.

საკრებულომ მხარი დაუჭირა ცვლილებებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 დეკემბრის N28 დადგენილებაში ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“და ბიუჯეტით გათვალისწინებულ ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმაში.

დაამტკიცა განკარგულება „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“.

ინიციატივა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თათია ბროლიძემ წარმოადგინა. ინიციირების მიზანია შშმ პირების საჭიროებების დეტალური შესწავლა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება მუნიციპალური პროგრამებისთვის.

სოფლის მეურნეობის სანფორმაცო საკონსულტაციო სამსახურს ხელმძღვანელმა ჯემალ გელაშვლმა ისაუბრა ახალ მეტეოროლოგური ცენტრის შესახებ.

ტკოცის საჯარო სკოლის მოსწავლეები ბუნების დაცვის საკითხებს სწავლობენ

სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი გარემოს დაცვის საკითხებში. სკოლაში საბაზო-საშუალო მოსწავლეთა ბაზაზე მუშაობს ეკო -კლუბი „ბუნების მცველები“. მათ საქმიანობას დიდ მოტივაციას უჩენს კლუბის ხელმძღვანელი ქეთევან ციქუბაძე თავისი დაუღალავი შრომით. მრავალი

კარგი საქმე გააკეთეს მოსწავლეებმა ჩვენ ირგვლივ გრემოს დასაცავად; ისინი ხალისით ერთვებიან სხვადასხვა კონკურსებში. ამჯერად , ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის პარტნიორი FAO Georgia-ს მიერ გამოცხადებული კონკურსი აირჩიეს. დავალება სატბორე მეურნეობას ეხებოდა. მიზანი იყო, რომ გაეცნოთ და გასაუბრებოდნენ ფერმერს, დაესვათ კითხვები , თავიანთი თვალით ენახათ თევზები, მიეღოთ მონაწილეობა მათი კვების პროცესში და ა.შ. გეზი სოფელ დამჩხეულასკენ ავიღეთ და ინდ.მეწარმე თევდორე (თედო) ტაბატაძეს სატბორე მეურნეობაში (საკალმახე) ვესტუმრეთ . მან ნამდვილი პროფესიონალური მეგზურობა გაგვიწია, მოსწავლეები ინტერესით უსმენდნენ ბატონ თედოს, რომელმაც არ დაიზარა და ძალიან თბილი საუბრით, დაწვრილებით უამბო მოსწავლეებს მეურნეობის შექმნის და მისი მოვლა-პატრონობის შესახებ.

საინტერესოა თედო ტაბატაძის ცხოვრების ისტორიაც... წლები საზღვარგარეთ უცხოვრია. შემდეგ დაუბრუნდა თავის მშობლიურ სოფელს, რომელიც მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, თრიალეთის მთის ძირში,ქ. ხაშურიდან ხუთი-ექვსი კმ-ის მოშორებით მდებარეობს . ეს არის ულამაზესი სოფელი დამჩხეულა. მისი სახელწოდება ძველ წიგნებში მოხსენიებულია ,როგორც სოფელი დამჩხერალო. ეს უმშვენიერესი სოფელი განთქმულია გამჭვირვალე სუფთა ჰაერით, საოცრად გემრიელი სასმელი წყლითა და ნოყიერი, ნიადაგით. ერთი პერიოდი სოფელი ნასახლარადაც კი



იწოდებოდა , რადგან იქ მუდმივი მაცხოვრებელი აღარავინ იყო. ახლა კი, მას კვლავ დაუბრუნდა თავისი ფუძე-კარმიდამოს აღსადგენად რამოდენიმე ადამიანი და სოფელმაც სიცოცხლე კვლავ დაიბრუნა. მათ შორისაა 70 წელს გადაცილებული ბატონი ,თედო გიორგის ძე ტაბატაძე. უზომოდ შეყვარებული თავის სოფელზე, უაღრესად ერთგული და მშრომელი ადამიანი. საქმიანობაში მას ეხმარებიან მეუღლე-მანანა კურტანიძე და შვილები, გიგა და ზაზა ტაბატაძეები.ამაგდარ ბაბუას ხშირად სტუმრობენ ხოლმე შვილიშვილებიც. არნახული მასპინძლობა გაუწია ჩვენს მოსწავლეებს, დათვალიერების შემდეგ თავისი არჩვეულებრივი კალმახიც დაგვაგემოვნებინა. დიდხანს სიცოცხლეს და კეთილდღეობას ვუსურვებთ მისაბაძ, ამაგდარ ადამიანს და მადლობას ვუხდით გულთბილი მასპინძლობისთვის.

ლიანა ლომიძე, სკოლის დირექტორი

მოსწავლეები - სტუმრად მუზეუმში

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს პირველი საჯარო სკოლის მერვეკლასელი მოსწავლეები (მასწავლებლები: ნინო კიკნაძე და ნინო წერეთელი) იმყოფებოდნენ. ბავშვებმა ინტერესით მოისმინეს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მთავარი მცველის, ისტორიკოს მზია ლობჟანიძის ლექცია დავით აღმაშენებლის შესახებ. დასასრულს გაიმართა საინტერესო დისკუსია მოსწავლეებსა და მომხსენებელს შორის.

სოფელ ცხრამუხაში, მისასვლელი გზა, წლების განმავლობაში იყო ავარიულ მდგომარეობაში. დღეისათვის ეს პრობლემა აღმოიფხვრა და ადგილობრივი დაფინანსებით სოფელს უკვე კეთილმოწყობილი, მთლიანად ასფალტირებული მისასვლელი გზა აქვს.

შეხვედრა პოეტთან

დღეს ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების ინიციატივით, ხაშურის საზოგადოებამ ჯემალ ინჯიას უმასპინძლა. როგორც ვაანონსებდით, კლასიკოს პოეტს, გორის მწერალთა სახლის დამაარსებელს, საპატიო მოქალაქეს, მრავალი პრემიის ლაურეატს, მთარგმნელს,30 წიგნის ავტორს, წელს 88 წელი შეუსრულდა...

პოეტთან ერთად, ხაშურს სტუმრობდნენ გორის ინტელიგენციის თვალსაჩინო

წარმომადგენლები: პოეტის ვაჟი, პროზაიკოსი ნუგზარ ინჯია, მსახიობი ნოდარ მდინარიძე და პოეტი-მომღერალი დავით დარბაიძე.

ამაყად დახვდა ხაშური... ამაყი და მადლიერი იყო პოეტი!

იგი ასამდე წიგნით ხელდამშვენებელი მობრძანდა ბიბლიოთეკაში;

დიდხანს გაგრძელდა, თითქოსდა ერთი საათის ჩარჩოში ჩასმული საღამო , მაგრამ ვინ შემოფარგლა სულიერების საზღვრები!

ღონისძიებაში, რომელსაც საბიბლიოთეკო გაერთიანების მმართველი, კლარა გელაშვილი უძღვებოდა, ჩართულნი იყვნენ ხაშურის პირველი, მეხუთე და ქვიშხეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც ჯემალ ინჯიას ლექსები შემოგვთავაზეს.

დიდი მოწონება დაიმსახურა ხალხური საკრავების ანსამბლმა, ხათუნა კასრაძის ხელმძღვანელობით.

დიდი მადლობა მათ!

საღამო კიდევ უფრო გაალამაზა ეკა ბაქრაძემ , რომელმაც თავისი ლიტერატურული წრე ,, აკვარიუმი" "შემოგვაშველა". პოეტს მოეფერენ ხაშურელი მეგობრები და თანამოკალმენი: მურად მთვარელიძე, ეკა ბაქრაძე, მზეგული ტყეშელაშვილი. მადლიერებას ვინ სიტყვით და ვინ-თვალით გამოხატავდა....

ღონისძიებას სხვადასხვა ფორმით შეუერთდნენ ადგილობრივი მერიის, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და კულტურის განყოფილების წარმომადგენლები.

საღამო იყო უშუალო, თბილი და სიყვარულით გაჯერებული. სწორედ ისეთი, შემოქმედის ბუნებას რომ ეკადრებოდა...

ხაშური ჯემალ ინჯიას მასპინძლობსო, სოციალური სივრცით შეიტყო ქუთაისის კოლორიტმა პოეტმა, ძეგლთუხუცესად წოდებულმა გიზო თავაძემ და თავისი მოულოდნელი სტუმრობით დიდი სიხარული აჩუქა მეგობარ პოეტს.

დასასრულს, მადლიერმა პოეტმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას ასეთი ლამაზი შეხვედრისათვის. შეხვედრის მონაწილეებმა კი სურვილი გამოთქვეს, რომ პოეტის სამნიშნა იუბილეც ხაშურში აღინიშნოს.

ხაშურმა ჩოხოსანთა საყოველთაო შეკრებას უმასპინძლა

გასულ კვირას, ქართლის გულმა - ხაშურმა, საპატრიარქოს ჩოხოსანთა საყოველთაო შეხვედრას უმასპინძლა. აქ შეიკრიბა საქართველოს ჩოხოსნების დიდი ოჯახი ყველა რეგიონიდან, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა ერთიანობა და ერთსულოვნება დედა-ეკლესიისა და სამშობლოსადმი.

არაჩვაულებრივად უმასპინძლა სტუმრებს ხაშურმა. განსაკუთრებული მხარდაჭერა ჩოხოსანთა წამოწყებისადმი გამოხატა საქართველოს პარლამენტის წევრმა ბატონმა ზაზა(ზაალ) დუგლაძემ.

მხოლოდ ქართული ნადიმი არა, ამ დღეს უამრავი ადამიანის გული აივსო სიხარულით, მადლიერებით, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით და პატივისცემით. ამ დღეს ჰყავდა გამორჩეული მასპინძლები და სტუმრები: ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, ქალაქ რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, დმანისის მუნიციპალიტეტის მერი კობა მურადაშვილი, ხაშურისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების მერის მოადგილეები: ზვიად გოგუაძე, და გიორგი ტაბატაძე, „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს" თავმჯდომარე ეკატერინე ორჯონკიძე, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ლაშა ბექაურის მშობლები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩოხოსანთა დაჯილდოებაში.

ტრადიციულად დაჯილდოვდნენ საპატიო ჩოხოსნები:

ხაშურის „ივერიის" ლეგენდები

- ნუკრი ლომსაძე, თენგიზ ოსაძე, იური ნოზაძე, ივანე ხარაზიშვილი, მალხაზ-ლაცაბიძე, ვლადიმერ ხაჩიძე, გრიგოლ ღამბაშიძე;

-გამორჩეული ხელოვანი, ქართული მინანქრის სპეციალისტი - ლიანა ანიაშვილი;

-ასევე, ფონის წმინდა გიორგის ტაძრის მშენებელი მერაბ ნოზაძე.

საქართველოს პატრიარქის მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ ჩვენი სახელოვანი ქალბატონები:

- საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირების ხაშურის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე - ინეზა ელისაშვილი;

- ხაშურის მუნიციპალიტეტის ტკოცის საჯარო სკოლის დირექტორი - ლიანა ლომიძე;

- თიღვის მუნიციპალიტეტის ჟურნალ „ფრონის ხეობის" ჟურნალისტი - მზეგული ტყეშელაშვილი;

-ჟუჟუნა ცენგირაშვილი -დამსახურებული ბიბლიოთეკარი

-მარინა ნოზაძე - ქართული დიასპორის წარმომადგენელს აშშ-ში.

მასპინძელი ქალაქის ხელოვნების გამორჩეულმა მოღვაწეებმა ჩვენი საუნჯე გააცნეს საზოგადოებას. ანსამბლების - „ოქროს ფარის", „ჰარირას" და „როკვის" მოცეკვავეები საოცარ სანახაობას ქმნიდნენ. მოხიბლეს დამსწრე საზოგადოება ულამაზესი სამოსით, მაღალი საშემსრულებლო მანერით, სილაღით. ჩვენი ქალაქის მშვენება მარიამ ობოლაძე ულამაზესი სიმღერით წარსდგა. საზეიმო შეხვედრა კი ოპერის მომღერალმა ლევან ტაბატაძემ დააგვირგვინა.

გამორჩეულმა თამადამ, ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელმა, თელავის სადროშოს მეთაურმა გიორგი ტალიურმა დღე საოცრად გაალამაზა თავისი სადღეგრძელოებით, ლექსებით, სიმღერებით.

ცეკვისა და სიმღერის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები ჩოხოსანთა რიგებშიც მრავლად აღმოჩნდნენ. განსაკუთრებული ემოციებით შეხვდა დარბაზი მამა-შვილის იმედა და მერი მეტრეველების, თამარ მეტრეველის, გოდერძი კოპაძის და სხვათა ცეკვებს.

ჩოხოსანთა საყოველთაო შეხვედრამ ბევრ ახალ იდეასაც დაუდო სათავე. შემოგვემატნენ ახალი წევრებიც.

მადლობა ჩვენს უსაყვარლეს პატრიარქს, რომელმაც გაგვაერთიანა ქართული იდეის სამსახურში.

განსაკუთრებული მადლობა მასპინძლობისათვს ხაშურის მუნიციპალიტეტს;

ამ საღამოს ორგანიზატორებს: ლაშა გოგიაშვილს, მათე ლურსმანაშვილს, ,მალხაზ ლომიძეს, იმედა მეტრეველს, გია ბოლოკაძეს, მაკა დიდებულიძეს, ირინე გოგიტაურს და მთლიანად ხაშურის სადროშოს.

ნ. ივანიშვილი, ჩოხოსანთა საზოგადოების წევრი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.